



პროექტი: „ვეგემავთ ნაბიჯებს მშვიდობიანი მომავლისთვის“

თორნიკე შარაშენიძე

უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების პერსპექტივაზე

(პოლიტიკის დოკუმენტი)

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული სრულმასშტაბიანი ომი უდიდესი გეოპოლიტიკური მოვლენაა, რომელიც აუცილებლად შეცვლის რეგიონში ძალთა ბალანსს და ასახვას ჰპოვებს საქართველოში არსებულ ვითარებაზე მისი ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, ეს ომი, საბოლოო ჯამში, საქართველოსათვის უფრო მეტად ახალ შესაძლებლობებს გააჩენს თუ პირიქით, - ახალ საფრთხეებს. მოცემული დოკუმენტის მიზანია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილი მდგომარეობის გაანალიზება უკრაინაში მიმდინარე ომის ჭრილში, იქ არსებული განწყობების განხილვა როგორც მმართველი ელიტების, ასევე რიგითი მოქალაქეების დონეზე და დადგენა, რა შეიცვალა ამ მხრივ ბოლო ორი თვის განმავლობაში და რას შეიძლება უქადდეს ეს ქართულ მხარეს.

ომის მიმართ დამოკიდებულება

როგორც აფხაზეთში, ასევე ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გაამართლა უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყება. ეს არ არის გასაკვირი იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ორივე რეგიონი ინფორმაციას ძირითადად რუსული მედიიდან იღებს. ომის დაწყება, მათი აზრით, მორალურად გამართლებული იყო იმ მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომ „ნატომ და ამერიკამ რუსეთს სხვა გზა არ დაუტოვეს“ და რომ

„რუსეთი უკრაინაში თავს იცავდა.“ გარდა იმისა, რომ ამ მოსაზრებების დასამკვიდრებლად კარგად იმუშავა რუსულმა პროპაგანდამ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 2008 წლის შემდეგ რუსეთი ორივე რეგიონის მოსახლეობისათვის „ჩაგრულებისა და სიმართლის დამცველად“ აღიქმება. ომის თაობაზე განსხვავებული აზრი უფრო მეტად აფხაზეთში გაისმოდა, რაც ამ რეგიონში შედარებით განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობით აიხსნება.

ომის დაწყების გასამართლებლად პრაგმატული მიზეზებიც არსებობდა. ორივე რეგიონის მოსახლეობა აშკარად შეეჩვია იმას, რომ რუსეთის მხრიდან ბოლო პერიოდში წამოწყებული ყოველი ახალი ომი მისი გაძლიერებით სრულდება ხოლმე (საქართველოსთან ომი 2008 წელს, უკრაინასთან ომი 2014 წელს, სამხრეთ კავკასიაში 2015-2017 წლებში). მოკავშირისა და მფარველის შემდგომ გაძლიერებას კი, ცხადია, აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხოლოდ თუ მიესალმება. რაც შეეხება მმართველ ელიტებს, აფხაზეთში მხარე შედარებით უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი მოსკოვის ქმედებებთან მიმართ, რაც გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში კარგად გამოჩნდა. მაგალითად, ასეთი საკითხი იყო დონეცკისა და ლუჰანსკის რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება. აფხაზეთში (როგორც მმართველი ელიტის, ასევე რიგითი

მოქალაქეების დონეზე) ამას არც ისე კარგად შეხვდნენ. აფხაზეთისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირში რუსეთის მიერ აღიარებული, ახალი სეპარატისტული რეგიონების გაჩენა არცთუ ისე სასურველია. ეს მათთვის ნიშნავს ექსკლუზიურობის ერთგვარ დაკარგვას, „კონკურენტების“ გაჩენას და, შესაბამისად, მოსკოვიდან დაფინანსების შესაძლო შემცირებას. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, აქ დონეცისა და ლუჰანსკის აღიარებას არანაირი განსაკუთრებული რეაქცია არ მოჰყოლია. აქაური მმართველი ელიტაცა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ნაკლებად მოიაზრებენ თავს დამოუკიდებელ ერთეულად და, აფხაზეთისგან განსხვავებით, რაიმე ექსკლუზიურობაზე პრეტენზია არ გააჩნიათ. რაც შეეხება დაფინანსებას, ცხინვალის რეგიონის ეკონომიკა მეტწილად ადგილობრივ რუსეთის სამხედრო ბაზაზეა მიბმული და, შესაბამისად, მას განსაკუთრებული შემცირება, სავარაუდოდ, არ ემუქრება.

ქართული რევანშის შიში

ომის მსვლელობისას რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განცდილმა წარუმატებლობებმა, ცხადია, გარკვეულწილად შეცვალა მოვლენათა აღქმა ორივე რეგიონში. ისევ გაჩნდა „ქართული რევანშის“ შიში, რამაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ ორივე რეგიონისათვის მტრის ხატის ნიშა ისევ თბილისს უჭირავს. პარალელურად გაჩნდა მოსკოვის ქმედებებით აშკარა უკმაყოფილებაც ფრონტზე აფხაზეთისა და სამხრეთელი ოსების გაწვევის გამო. თუმცა, ცხინვალის რეგიონში ეს უკმაყოფილება ალბათ ბევრს ვერაფერს შეცვლის, რადგან მმართველი ელიტა მკვეთრად მოსკოვზეა ორიენტირებული. ეს დადასტურდა მიმდინარე მოვლენების დროსაც, როდესაც ცხინვალმა კიდევ ერთხელ დააყენა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი. ამჯერად ამ ნაბიჯის გამართლებად, სხვა ყველაფერთან ერთად, სწორედ ქართული მხრიდან რევანშის საფრთხე სახელდება. გარდა ამისა, მოცემული საკითხის ხელახალი გააქტიურება ცხინვალის რეგიონში არჩევნებს დაემთხვა და, შესაბამისად, იგი, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება შიდაპოლიტიკური თამაშის ნაწილადაც განვიხილოთ. არც ისაა გამორიცხული, რომ ამჯერად შესაბამისი სიგნალი ცხინვალმა

მოსკოვიდან მიიღო. ამის ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ ცხინვალის რეგიონის მმართველი ელიტის მიერ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხის გააქტიურებას დაემთხვა აფხაზეთის მმართველი ელიტის მიერ იგივე საკითხის მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება (ანუ, შესაძლოა მოსკოვმა ორივე რეგიონის ხელმძღვანელებთან ერთდროულად დააყენა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხი). სოხუმის განცხადებებმა კიდევ ერთხელ ცხადი გახადა, რომ აფხაზეთი მხარე, ისევე როგორც აქამდე, ახლაც ახერხებს შეინარჩუნოს გარკვეულ ავტონომიურობა. ხოლო მათი მხრიდან [სამხრეთ ოსური ვარიანტის მიუღებლობის შესახებ საკმაოდ მკვახე ტონით გამოხატული პოზიცია](#) იმას მიანიშნებს, რომ აფხაზეთ მმართველ ელიტას ომის დაწყებისთანავე ჰქონდა გარკვეული შეკითხვები მოსკოვთან (თუმცა, ამის ღიად დაფიქსირებას ვერ ბედავდა), ისევე როგორც შეკითხვები ჰქონდა აფხაზი რიგითი მოქალაქეების ნაწილს.

როგორც აფხაზეთის, ასევე სამხრეთელი ოსების მხრიდან შიშნარევმა რეაქციებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული მხარის მიმართ ნდობა ჯერჯერობით კვლავ არ არსებობს. არცერთი რეგიონის მოსახლეობას აშკარად არ სჯერა, რომ თბილისის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად პირველივე შესაძლებლობის გაჩენისთანავე ძალის გამოყენებას მოერიდება. შიში გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოს ზოგიერთი მოქალაქის მხრიდან წამოსროლილმა უპასუხისმგებლო გამონათქვამებმა, არამედ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაკეთებულმა ანალოგიურმა [მოწოდებებმაც](#). ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთელი ოსები არა მხოლოდ არ ენდობიან ქართულ სახელმწიფოს, არამედ იგი მიაჩნიათ გარე ძალებზე (ამ შემთხვევაში უკრაინაზე) ზედმეტად დამოკიდებულ სუბიექტად. რუსული პროპაგანდა დიდი ხანია ცდილობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა თვალში საქართველოს ამერიკისა და ნატოს მარიონეტის იმიჯი დაუმკვიდროს. ამერიკა და ნატო კი, თავის მხრივ, აგრესიულ მოთამაშეებად წარმოაჩინოს, რომელთაც არაფრად აინტერესებთ აფხაზეთის და

ცხინვალის რეგიონის მოქალაქეთა ბედი და უფლებები.

მეორე მხრივ, ეს რეაქციები იმასაც მოწმობს, რომ რუსული მხრიდან სრულფასოვანი დაცვის იმედი სოხუმსა და ცხინვალში არ აქვთ. 2008 წლის შემდეგ ორივე რეგიონში სამხედრო ბაზების განლაგებას თითქოსდა მათი შიშები უნდა მოეხსნა, მაგრამ რუსული შეიარაღებული ძალების პირველივე წაფორხილებამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საგრძნობი შემფოთება გამოიწვია. რუსეთი არც ისე სტაბილურ და ძლიერ პარტნიორად წარმოჩინდა. იგი არა მხოლოდ ვერ აღწევს გაცხადებულ მიზნებს, არამედ ფრონტზე აფხაზებისა და ოსების გაწვევაც კი დასჭირდა. შესაძლოა მოსკოვის მხრიდან ეს უკანასკნელი წმინდა პოლიტიკურ-სიმბოლურ აქტს წარმოადგენდა, მაგრამ სოხუმსა და ცხინვალზე ამან კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ მოახდინა. ცხინვალის რეგიონის ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მხრიდან გაისმა [განცხადებები](#) „გენოფონდის განადგურების“ საფრთხის შესახებ, რის უკანაც, ცხადია, მოსახლეობის შესაბამისი განწყობები დგას. აფხაზური სამოქალაქო საზოგადოების წევრები კი ღიად გამოვიდნენ [მოწოდებებით ომის დასრულებისაკენ](#).

არაღიარების პოლიტიკა და ქართული ტერიტორიების ანექსიის საფრთხე

როგორც უკვე აღინიშნა, დანამდილებით რთულია იმის თქმა, რომ მოსკოვში ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ანექსია ჰქონდეთ გადაწყვეტილი, მაგრამ ეს შესაძლებლობა რეალურია და ლოგიკურიც, რადგან უკრაინაში განცდილი მარცხის ფონზე მოსკოვისათვის ასეთი ნაბიჯი სახის შენარჩუნების ერთ-ერთ გზად შეიძლება იქცეს. არც ის გარემოება უნდა დავივიწყოთ, რომ თუკი მოსკოვში ამ რეგიონების მიერთებაზე ფიქრობენ, ამაზე ხელსაყრელი დრო ალბათ ძნელი წარმოსადგენი იქნება: რუსეთის წინააღმდეგ სანქციები თითქმის მაქსიმალური ძალით არის ამოქმედებული. მათთან ადაპტირებას მოსკოვი სხვადასხვა გზით ცდილობს, მათ შორის მესამე ქვეყნების დახმარებით ე.წ. „შავი ხვრელების“ შექმნით. ასევე, მისი გათვლებით, უახლოეს მომავალში ეკონომიკის განსაკუთრებულად

დამაზიანებელი სანქციები (მაგალითად, რუსულ ნავთობზე სრული ემბარგო) არ ემუქრება. რუსეთი უკვე იზოლაციაშია და მას დასაკარგი ბევრი აღარაფერი აქვს. აღსანიშნავია, რომ ასეთ ფონზე აზრი ეკარგება მისი მხრიდან სხვა სახელმწიფოებისაგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარების მოპოვებაზე მუშაობას. ჯერ ერთი, მოსკოვისათვის ეს საკითხი ბოლო პერიოდში აშკარად აღარ არის ძველებურად აქტუალური. მეორეც, ასეთი იზოლაციის პირობებში აღიარების მოპოვება უკიდურესად რთული იქნება (გამონაკლისად შეიძლება იქცეს ბელორუსი, რომელიც ბოლო პერიოდში რუსეთის ფაქტობრივ სატელიტად იქცა). კიდევ უფრო მეტად ჩაკეტვისა და შიდა მობილიზაციის პირობებში ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიას ალბათ რუსეთის მოქალაქეთა დიდი ნაწილიც დაუჭერს მხარს და ეს 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვ.პუტინის რეიტინგს გაზრდის.

ანექსიის განხორციელება რუსეთს არ გაუჭირდება ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, გამომდინარე იქ არსებული განწყობებიდან. რაც შეეხება აფხაზეთს, იგი ანექსიაზე ბევრად უფრო რთული დასაყოლიებელი იქნება. აქ მოსკოვი ზეწოლისათვის ალბათ ფინანსურ ბერკეტებს გამოიყენებს. ცხინვალის რეგიონთან შედარებით აფხაზეთის მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და სამხედრო ბაზაზეც ნაკლებადაა დასაქმებული. ასე რომ, აქ დაფინანსების გადაკეტვა, რუსეთის გათვლით, უფრო იოლი იქნება და უფრო ეფექტურიც. მოსკოვში დიდი ხანია აღიზიანებთ აფხაზების სიჯიუტე ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა უძრავი ქონების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიყიდვის აკრძალვა. გადის წლები და ეს საკითხი ადგილიდან თითქმის არ იძვრის. მაშინ, როდესაც აფხაზეთი ცხინვალის რეგიონზე გაცილებით მეტ დაფინანსებას იღებს, იგი, ამავე დროს, ცხინვალის რეგიონისგან განსხვავებით ავტონომიურობის შენარჩუნებას ცდილობს. ეს კი არ შეიძლება მოსკოვს არ აღიზიანებდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ანექსიის ირგვლივ ამ ეტაპზე მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარების ალბათობა მაღალია, ზოგიერთი საპირისპიროდ ფიქრობს. იმ დაშვებით, რომ მოსკოვს ქართული ტერიტორიების ანექსია

უკრაინაში წარუმატებლობის გადასაფარად სჭირდება, მხოლოდ ცხინვალის რეგიონის მიერთება ამ მიზნის მისაღწევად არ იკმარებს (ცხინვალი არ არის ხარკოვი და მით უმეტეს კიევი). აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე ანექსია უნდა გადაიდოს იქიდან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით აფხაზეთში საამისო მზაობა არ ჩანს. შემდეგ კი არაა გამორიცხული მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში შედარებით უფრო პრაგმატულმა მოსაზრებებმა იძალდოს, რომლის თანახმადაც საქართველოს ტერიტორიის ანექსია მეტად უარყოფითად იმოქმედებს არა მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობაზე, არამედ ცუდ მაგალითს შექმნის ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლებიც რუსეთთან მიმართებაში ფრთხილ პოლიტიკას ატარებენ.

ქართულ მხარეს არ გააჩნია ბერკეტები მოსკოვში პრაგმატულ პოლიტიკოსთა პოზიციების გასამყარებლად. ომის დაწყების შემდეგ რუსეთში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა ისედაც ჩაკეტილი წრე კიდევ უფრო ჩაიკეტა და მასზე გავლენას ვეღარ ახდენენ რაციონალურად მოაზროვნე პოლიტოლოგები თუ ჟურნალისტები, რომელთაც კონტაქტი აქვთ ქართველ კოლეგებთან. საქართველო დიდი ხანია საკმაოდ ფრთხილ და მოზომილ პოლიტიკას ატარებს მოსკოვთან ურთიერთობებში. ამ ფონზე, მეტ კომპრომისზე წასვლა დაუშვებელი იქნება გამომდინარე ქართულ საზოგადოებში რუსეთის მიმართ არსებულ მკვეთრად უარყოფითი განწყობიდან, რომელიც უკრაინაში ომის ფონზე კიდევ უფრო გამძაფრდა. შესაბამისად, მოსკოვის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე რაიმე გავლენის მოხდენა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც აჯობებს კონტაქტების შენარჩუნება და განვითარება რუსეთში დარჩენილ ჯანსაღ და რაციონალურ ძალებთან იმის იმედით, რომ მათ ოდესღაც შეიძლება გაუჩნდეთ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის შანსი. ასეთ მომენტს ქართული მხარე მომზადებული უნდა დახვდეს და, ამ მხრივ, ადამიანური კონტაქტების არსებობა მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

ქართული მხარის მზაობა ანექსიის შესაჩერებლად მოკლევადიან პერსპექტივაში ქართულ მხარეს საკუთარი ბერკეტი, რამაც შეიძლება ხელი

შეუშალოს რუსეთის მხრიდან ასეთ გადაწყვეტილებას, არ გააჩნია. ნაკლებ კონფრონტაციული რომ ყოფილიყო ურთიერთობები, ერთი მხრივ, ქართულ და, მეორე მხრივ, აფხაზეთ/სამხრეთოსურ საზოგადოებებს შორის და ადგილი არ ჰქონოდა მზარდ გაუცხოებას, თბილისს ანექსიის პრევენციის შესაძლებლობა მეტი ექნებოდა. დღეს, სამწუხაროდ, სხვა მოცემულობასთან გვაქვს საქმე.

განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში დგას, სადაც მოსკოვისთვის ადგილობრივი საზოგადოებისგან წინააღმდეგობის გაწევის რესურსი და მზადყოფნა პრაქტიკულად არ არსებობს. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი და, ამავდროულად, აუცილებელი გზა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დიპლომატიური მხარდაჭერის მობილიზაციაა, თუნდაც საეჭვო იყოს მისი საბოლოო შედეგიანობა (ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო).

ამ მხრივ აფხაზეთში არსებული ვითარება შედარებით მეტი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოსკოვი ადგილობრივი მმართველი ელიტის დაყოლიებას შეძლებს, მოსახლეობის დიდ ნაწილში ანექსიის მცდელობა აუცილებლად გამოიწვევს პროტესტს. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი ერთობ მყიფე პოლიტიკური ერთეულია, იქ მოსახლეობაში საპროტესტო ტალღის აგორება ნებისმიერი ხელისუფლებ ისათვის მეტად სახიფათოა. შესაბამისად, საჭირო იქნება არა მხოლოდ მმართველი ელიტის, არამედ აფხაზეთის საზოგადოების დაყოლიებაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლაზე. საამისოდ მოსკოვის მხრიდან ყველაზე ლოგიკური იქნება ისევე და ისევე თბილისის მხრიდან „აგრესიის გაზრდილ საფრთხეზე“ აპელირება და აფხაზეთი საზოგადოების დარწმუნება, რომ სხვანაირად რუსეთი რეგიონს ქართველებისგან ვერ (ან არ) დაიცავს.

შესაბამისად, მოკლევადიან პერსპექტივაში ქართული მხარის ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ პროპაგანდისტული მითის დამსხვრევა უნდა იყოს. როგორც უკვე ითქვა, აშკარაა, რომ ჯერჯერობით სოხუმშიცა და ცხინვალშიც არ სჯერათ ოფიციალური თბილისის მიერ გაცხადებული ტერიტორიული მთლიანობის

მხოლოდ მშვიდობიანი გზით აღდგენის კურსის შესაბამისად, საჭიროა მშვიდობიანი რიტორიკის უფრო მეტად გააქტიურება, უპირველესად კი სწორედ სამთავრობო და ოფიციალურ დონეზე. ერთია, როდესაც აფხაზური თუ სამხრეთ ოსური საზოგადოება შესაბამის განცხადებებს ისმენს ქართული არასამთავრობო წრეებისაგან და მეორეა, როდესაც ამას ისმენს საქართველოს მთავრობისაგან. სოხუმშიცა და ცხინვალშიც მიაჩნიათ, რომ არასამთავრობოები ქართული საზოგადოების მხოლოდ ნაწილის განწყობას თუ გამოხატავენ და რომ მათი განცხადებები შეიძლება სულაც დასავლური დონორი ორგანიზაციის დაკვეთით იყოს განპირობებული. აქვე უნდა ითქვას, რომ შესაძლოა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლები ბოლომდე არც საქართველოს მთავრობის განცხადებებს ენდონ, მაგრამ ასეთ განცხადებებს სულ ცოტა ის ეფექტი მაინც ექნება, რომ ადგილობრივ მმართველ ელიტებს (უფრო რეალისტურად კი, ცხადია, აფხაზურს), სურვილის შემთხვევაში, თბილისთან ურთიერთობებისათვის ხელ-ფეხს გაუხსნის. მით უფრო, რომ აფხაზეთის ახლანდელი მმართველი ელიტა თბილისის მიმართ შედარებით უფრო ლოიალურადაა განწყობილი და შესაძლოა ელის კიდევ ქართული მხრიდან მსგავს ნაბიჯებს. მთავრობის მხრიდან საჭირო იქნება ასევე შეიარაღებული რევანშისაკენ ყველა საჯარო მოწოდებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება და მისგან გამიჯვნა. სოხუმსა და ცხინვალში არ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ასეთ მოწოდებებს მთავრობა თავისი დუმილით ეთანხმება და აქეზებს.

თბილისთან ურთიერთობების პერსპექტივა რუსეთის იზოლირების კვალდაკვალ

რუსეთის იზოლაციაში მოქცევა ბევრს არაფერს ცვლის ცხინვალის რეგიონისათვის, მაგრამ უდაოდ უსიამოვნო ფაქტია აფხაზებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი გახსნილია გარე სამყაროსთან ურთიერთობებისათვის. რუსეთის მხრიდან დაფინანსების მოსალოდნელ შემცირებასთან ერთად მისი დასავლეთისგან იზოლაცია აჩენს შანსს, რომ აფხაზური საზოგადოების ნაწილი (უპირველესად ახალგაზრდობა) საქართველოში დაიწყებს ალტერნატიული გზების ძიებას. ამას ემატება ის **ზეწოლა**, რომელსაც რუსეთი დიდი ხანია ახორციელებს აფხაზურ სამოქალაქო

საზოგადოებაზე, რათა ხელი ააღებინოს მას დასავლურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. იზოლაციისა და დასავლეთთან მხარდი დაპირისპირების პირობებში ეს ზეწოლა, წესით, კიდევ უნდა გაიზარდოს, რასაც აფხაზეთში არც ისე კარგად შეხვდებიან. ამის ფონზე ქართული მხარე უნდა შეეცადოს, გაზარდოს დასავლური ორგანიზაციების ჩართულობა აფხაზეთში და, ამგვარად, საშუალოვადიან პერსპექტივაში არა მხოლოდ გაანეიტრალოს რუსული მხარის ზეწოლა, არამედ ასევე დაანახოს აფხაზებს ქართული მხარის გავლით დასავლეთთან თანამშრომლობის სიკეთე. გასააქტიურებელი იქნება წმინდა ეკონომიკური ბერკეტებიც, რაც, აფხაზური მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, ქართული კერძო კომპანიებისთვის აფხაზეთში სამუშაოდ ხელ-ფეხის გახსნას უნდა ემსახურებოდეს (ცხადია, საამისოდ საჭირო იურიდიული ფორმის გამოძებნის შემდეგ). რუსეთის ეკონომიკური იზოლაციის ფონზე აფხაზური მხარისათვის ეს მით უმეტეს მომგებიანი და მიმზიდველი იქნება.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს საფრთხე საქართველო მსგავსი შესაძლებლობის ფანჯრის გაჩენას მოუშაადებელი დახვდეს. საქმე ისაა, რომ აფხაზურ მხარესთან ურთიერთობათა დალაგებისათვის მთელი რიგი ზომების გატარება იქნება საჭირო, რომელთა მასშტაბიც სცდება ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებს. საჭირო იქნება საშუალოვადიან პერსპექტივაზე გათვლილი უფრო თამამი ნაბიჯები, რომელთა გატარება მთავრობას მეტად გაუჭირდება, თუკი საამისოდ არ ექნება მანდატი მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან. შესაბამისად, უკვე ახლაა საჭირო მუშაობა საზოგადოებასთან არა მხოლოდ სოხუმში, არამედ თბილისშიც. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეებს გაცნობიერებული ჰქონდეთ არა მხოლოდ ძალის გამოყენების დაუშვებლობა, არამედ ისიც, რომ შერიგებისათვის საჭირო იქნება ორმხრივი კომპრომისები. საამისოდ საჭიროა საჯარო დებატებისა და დისკუსიების წამოწყება მოცემულ საკითხებზე, რათა მოხდეს კონფლიქტების ხელახალი, უფრო პრაგმატულად და მრავალმხრივად გააზრება. გასაცნობიერებელია, რომ თუკი ახლა გაჩნდა შესაძლებლობის ფანჯარა, იგი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. დრო

შერიგების და, მამასადაძმე, საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს. კომპრომისი და დათმობა სოხუმთან ან ცხინვალთან მიმართებაში ბევრ ახალ შესაძლებლობას გააჩენს. თუკი ქართულ სახელმწიფოს აქვს მომავალი, მაშინ არანაირად არ არის საშიში ისეთი დათმობა, რომელიც რაღაც ფორმით აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან თანაცხოვრების საშუალებას მოგვცემს, - დროთა განმავლობაში ქვეყნის გაძლიერებასთან ერთად ეს ორი რეგიონი უფრო მჭიდროდ ინტეგრირდება იმ უბრალოდ მიზეზით, რომ მათ უკეთესი არჩევანი არც ექნებათ.

რეკომენდაციები

ზემოთქმულის გათვალისწინებით შემდეგი რეკომენდაციები შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოებების მისამართით სამშვიდობო რიტორიკის გააქტიურება, უპირველესად კი ოფიციალურ და სამთავრობო დონეზე. ყველანაირი არხებით კონტაქტების გაფართოება და გააქტიურება არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებებთან, არამედ დე ფაქტო მმართველ ელიტებთანაც. სხვა შემთხვევაში, ძალიან გაჭირდება შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმა მოსკოვის მხრიდან ზეწოლისა და მოსახლეობაში არსებული ანტიქართული განწყობების ფონზე.
- აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოებების მისამართით საზოგადოებრივ მაუწყებელზე და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება, რომელიც საქართველოს წარმოაჩენს, როგორც განვითარებულ ქვეყანას, დამოუკიდებელ მოთამაშეს და დასავლურ სამყაროზე გასვლის უმოკლეს გზას. აქ საჭირო იქნება სახელმწიფო დონეზე შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, რომლის მიხედვით ტელევიზორცესა და ინტერნეტში შეიქმნება რუსულენოვანი ქართული რესურსები. ასეთ რესურსებად შეიძლება გამოდგეს რუსულ ენაზე თარგმნილი თანამედროვე ქართული ფილმები და სერიალები; ასევე შეიძლება რუსულ ენაზე შესაბამისი შინაარსის ვიდეობლოგებისა და თოქშოუების გაკეთება.
- დასავლელ პარტნიორებთან მუშაობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ჩართულობის გააქტიურებისა და გავლენის გაზრდისთვის.

პარტნიორებს უნდა განემარტოს, რომ ქართული მხარე ახლებურად იაზრებს კონფლიქტებს, მათ შორის ანექსიის შეჩერების მიზნით, და რომ ამჯერად მათი რესურსები გაცილებით უფრო ეფექტურად დაიხარჯება კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით.

- დასავლელ პარტნიორებთან მუშაობის გააქტიურება ანექსიის, პირველ რიგში ცხინვალის რეგიონის, პრევენციის მიმართულებით. საჭიროა დასავლელ პარტნიორებთან ერთად საგანგებო გეგმის შემუშავება, რომელიც, სხვასთან ერთად, რუსეთისთვის ანგარიშგასაწევი პოლიტიკური და ეკონომიკური საფასურის დაწესებას გაითვალისწინებს. კერძოდ, უნდა დავარწმუნოთ პარტნიორები, რომ აუცილებელია ამ საკითხთან დაკავშირებული სანქციების სპეციალური პაკეტის დაუყოვნებლივ დაანონსება.

- ქართულ საზოგადოებაში აქტიური მუშაობა კონფლიქტების ახლებურად გააზრებისათვის, რათა პირველივე შესაძლებლობებისთანავე მთავრობამ შეძლოს აქტიური და თამამი სამშვიდობო ნაბიჯების გატარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებთან მიმართებაში. ზემოხსენებული საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს მთელი რიგი სტერეოტიპების დანგრევა, როგორცაა, მაგალითად, ის, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები მხოლოდ საქართველო-რუსეთის დაპირისპირების ნაწილია და იქ ადგილობრივ მოსახლეობას არანაირი როლი არ აქვს. ასევე უნდა დაიწყოს თამამი საუბარი ქართული მხარის მიერ ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებულ შეცდომებზე, რაც რეგიონებთან მიმართებაში გატარებულ პოლიტიკაში იქნა დაშვებული. ამან უნდა შექმნას მზაობა კომპრომისზე წასვლისათვის.

- ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიმზიდველობის გაზრდა. პირველ რიგში, საჭიროა ინიციატივის სრულფასოვანი რეალიზაციის ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, შემცირდეს ბიუროკრატიული ბარიერები და არსებითად გაიზარდოს დაფინანსება როგორც ვაჭრობისა და ბიზნესის ხელშესაწყობად, ისე აფხაზი და სამხრეთელი ოსი ახალგაზრდებისთვის დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობების გასაფართოებლად.

ამავდროულად, საქართველოს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში მოთხოვნილი სპეციალობების დასაუფლებლად გაიხსნას რუსულენოვანი სექტორები.

- **რუსეთში დარჩენილ ჯანსაღ და რაციონალურ ძალებთან კონტაქტების შენარჩუნება და განვითარება.** აქ მოიაზრება ძირითადად საგარეო სამინისტროსთან აფილირებულ პოლიტოლოგები, რომელთაც ესმით საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების ფასი და ტერიტორიული

მთლიანობის აღდგენაზე საუბრისათვისაც არიან მზად. მსგავსი შეხედულებები აქვთ, ასევე, ელექტრონული და ბეჭდური მედიის, სახელოვნებო ელიტისა და ინტელექტუალური წრეების ცნობილ წარმომადგენლებს. ბევრი მათგანის მოდერნიზაციას ცენზურა ზღუდავს, ზოგიც გასულია ქვეყნიდან. საჭიროა ამ ადამიანების იდენტიფიცირება და სხვადასხვა ფორმით საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში ჩართვა.

ავტორის შესახებ

თორნიკე შარაშენიძე არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი

პროექტს „ვეგემავთ ნაბიჯებს მშვიდობიანი მომავლისთვის“ აფინანსებს დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი (აშშ)